

N _____
//____

000000-00-0-000000000000



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N22**

ქ.ლანჩხუთი
წელი

23.12. 2016

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა. მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის გამგებლის მომართვის საფუძველზე, რომლის შესაბამისად საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 2016 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილება.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: რ.ლაშხია/

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ „ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N175 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის N2501 განკარგულებით 366849 ლარი აქედან საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდოს 387734 ლარით და შემცირდეს ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების მუხლი 20885 ლარით, რომელიც უნდა აისახოს ბიუჯეტის როგორც შემოსავლის, ისე ხარჯვით ნაწილში. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების 11 თვის ანალიზის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა შემცირდეს გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 13900 ლარით, ასევე გამგეობის შრომის ანაზღაურების მუხლი 17500 ლარით, სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის საქონელი და მომსახურების მუხლი 5000 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2000 ლარით, გარე განათების ელექტრო ენერჯის ხარჯი 2300 ლარით, ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალური შენობა-ნაგებობებში დახარჯული წყლის ღირებულების ხარჯი 3800 ლარით. შემცირების ხარჯზე გაიზარდოს გამგეობის შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის ფონდის დაფინანსება 1000 ლარით, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ფონდი 310 ლარი (ხელფასი შტატით, შტატგარეშე). ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის 7500 ლარით, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2400 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის 6000 ლარით, ა(ა)იპ უფასო სასადილო მზრუნველობა მოკლებულთათვის 1000 ლარით. ა(ა)იპ ლანჩხუთის კულტურის ცენტრის 1200 ლარით, შპს ლანჩხუთის 6000 ლარი. სოც. კულტურული ღონისძიების 4800 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ა(ა)იპ ტექ-სერვისის სუბსიდიით დაფინანსება 4800 ლარით (საახალწლო ღონისძიებებისათვის). სარეზერვო ფონდის 4500 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ა(ა)იპ ლანჩხუთი სერვისის დაფინანსება 4500 ლარით (გაწმენდითი სამუშაოებისათვის). 2016 წლის 9 დეკემბრის N2501 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაციისა და მოვლა შენახვის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 20408 ლარით და შემცირდეს ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების მუხლი 1099 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვისის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 8830 ლარის და ვალდებულების კლების 1623 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუფსიდის მუხლის დაფინანსება 10453 ლარით, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციო ცენტრის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 4607 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუფსიდის მუხლი 4607 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 26395 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუფსიდის მუხლი 26395 ლარით. საქართველოს მთავრობის N2610 განკარგულებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 250000 ლარი აისახოს ბიუჯეტში შემოსავალში და აღნიშნულის ხარჯზე შემცირებული იქნას მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის 250000 ლარი. სოციალური სამსხურის წინადადების საფუძველზე სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა 9915 ლარით“ მათ შორის შეჭირვებული ოჯახების საახალწლო საჩუქრების შესაძენად 4500 ლარი. ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანადაფინანსების, ეროვნულ სკრინინგ ცენტრიდან და სამედიცინო დაწესებულებაში მოწვეული სპეციალისტების ბინით უზრუნველყოფის პროგრამის“ 3800 ლარით, „სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამის“ 800 ლარით, „ბიკარბონატული ჰემოდიალიზით- თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის“ 152 ლარით, „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის“ 100 ლარით, „იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამის“ 1800 ლარით, „ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამის“ 400 ლარით, „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის“ 860 ლარით შემცირების ხარჯზე 7912 ლარით გაიზარდოს „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა“.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძე** დაინტერესდა, თუ რატომ უმცირდება გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს 5 000 ლარით დაფინანსება, იმ ფონზე, როცა სამსხურის მიერ წერილობით რამდენჯერმე იყო გამგებლის მიმართ მომართვა, მომხდარიყო სამსახურის გაზიფიცირება, ან შეძენილიყო გამათბობელი(კონდიციონერი), მათი მოთხოვნა კი დღემდე არ არის დაკმაყოფილებული.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ არც ერთ სამსახურს არ ჩაუტარდა იმ დონის სარემონტო სამუშაოები, როგორც სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს. სხვა ხარჯების მუხლის 5 000 ლარით

შემცირება განხორციელდა ტრანსპორტირებისა და მომსახურების ხარჯებიდან ეკონომიით მორჩენილი თანხებით, რომელიც მიიმართება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად. რაც შეეხება კონდიციონერის შეძენის თემას, გაგზავნილ იქნა მიმართვა ცენტრალურ ხელისფლებაში, რაზეც მიმდინარე წელს მთავრობამ თავი შეიკავა მსგავსი შეძენების განხორციელებაზე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწაძე** დაინტერესდა, თუ როდის შემდეგ ერევა მთავრობა ანალოგიური საკითხების გადაწყვეტაში.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით მთავრობის მიერ გამოცემულია სპეციალური დადგენილება, რომელსაც შეუძლია გაეცნოს დეპუტატები.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, ხარჯების შემცირება მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ყველა მიმართულებით არასწორად იყო დაგეგმილი.

დეპუტატი **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, ბიუჯეტში აღნიშნული ცვლილებები მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ-ებს მთლიანად უხსნის ფინანსურ პრობლემებს თუ ეს ცვლილებები განპირობებულია წლის ბოლომდე მათთვის აუცილებელი (ხელფასები) ფინანსური უზრუნველყოფისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში თავისუფლების ქუჩაზე ძლიერი ქარის შედეგად წაქცეულმა ნაძვის ხემ დააზიანა დუნდუას სახელობის სტადიონი, რომელსაც დღემდე არ ჩატარებია სარემონტო სამუშაოები. დეპუტატის თქმით, პირობითად 1 ლარის ღირებულების საქმე მუნიციპალიტეტს ბოლოს ბევრად მეტი უჯდება, რაშიც მისი აზრით ალბათ გარკვეული ადამიანები ხერხს ნახულობენ. მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოვიდა წერილი, რომ აღნიშნულ ქუჩაზე აუცილებლად გადასაჭრელი არის სამი ხე, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც გაზის მილებს, ასევე მოსახლეობის უსაფრთხოებას. საკითხზე კი რეაგირება დღემდე არ მოუხდენია გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 250 000 ლარი არის თუ არა საკმარისი მუნიციპალიტეტისთვის ყველა დარჩენილი ვალდებულებების გასასტუმრებლად.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხა მოხმარდება აუცილებელ ხარჯების (ხელფასები, შტატგარეშე, შტატით, ა(ა)იპ-ში სახელფასო ვალდებულებების, ელექტროენერჯის, გაზის და ა.შ) დაფინანსებას.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთში საბავშვო ბაღები ბავშვთა კონტიგენტის სიმრავლის გამო საკმაოდ გადატვირთულია. ქალაქში აუცილებელია კიდევ ერთი ბაღის გახსნა. მან დააყენა ინიციატივა, გაირკვეს თუ ყოფილი „ლიბერთი ბანკის“ შენობა ვის საკუთრებაშია(თუ სახელმწიფოს საკუთრებაშია მოხდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოსვლა) და მასში განთავსდეს საბავშვო ბაღი. რაც მისი თქმით სამური საქმე იქნება მუნიციპალიტეტისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის სხდომაზე გაჟღერდა ინიციატივა, რომელიც სწორედ აღნიშნულ შენობაში ახალგაზრდული ცენტრის განთავსებას გულისხმობს. მისი

თქმით, მიმდინარეობს საკითხის მოკვლევა, შესწავლა თუ ვის ბალანსზე არის შენობა-ნაგებობა და გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ახალგაზრდული ცენტრი თუ საბავშვო ბაღი განთავსდეს შენობაში, ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე იქნება მიღებული.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთში საბავშვო ბაღებში ბავშვების რაოდენობა საკმაოდ გადატვირთულია და დღის წესრიგში დგას დამატებითი ჯგუფების შექმნა. ამისათვის ყველა პირობაა შექმნილი მაჩხვარეთის საბავშვო ბაღში გაიხსნას დამატებით რამოდენიმე ჯგუფი, რომელიც მნიშვნელოვნად განტვირთავს ქალაქის საბავშვო ბაღს. ამისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრს“ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაეზარდათ დაფინანსება, რომელმაც შეადგინა 2 000 000 ლარი.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო - სააღმზრდელო ცენტრის“ ხელმძღვანელებმა კომისიის სხდომაზე სულ სხვა კუთხით ისაუბრეს. მათ აღნიშნეს რომ 2017 წელს იგეგმა კიდევ ორი დამატებითი ჯგუფის შექმნა, რომლისთვისაც ჯერჯერობით თანხები არ არის მოძიებული. ასევე დეპუტატმა აღნიშნა, რომ ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ხახუბიამ, რომელმაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღო, კეთილი ინებოს და სუფსის მოსახლეობას დაეხმაროს საბავშვო ბაღის პრობლემის მოგვარებაში.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ იგი სავსებით კომპეტენტურია ამ საკითხში. მისი თქმით, გამგეობიდან საკრებულოში თავდაპირველად შემოსული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისთვის“ გამოყოფილი იყო 1 800 000 ლარი, შემდგომ მოხდა დაფინანსების 200 000 ლარით გაზრდა და უკვე საკრებულოში მეორედ შემოსულ კორექტირებული ბიუჯეტის პროექტში ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“ დაფინანსებამ შეადგინა 2 000 000 ლარი.

საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში წერია: საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 250 000 ლარი აისახოს ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში და აღნიშნულის ხარჯზე შემცირებული იქნას მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის 250 000 ლარი. საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარები“ მიესალმება მთავრობისგან აღნიშნული თანხის გამოყოფას, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების შეკვეცის ხარჯზე. აუცილებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდეს კორექტირება და მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის მუხლი უცვლელი დარჩეს. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებელი ია გოგიჩაიშვილი, რომელიც თავის ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად იმყოფება უმძიმეს სოციალურ პირობებში (სარეიტინგო ქულა შეადგენს 20 000-ს) ესაჭიროება საშუალო მერქნით დახმარება. აგრეთვე სუფსის მაცხოვრებელს მაკა ჭანტურიას, რომელსაც უბედური შემთხვევის შედეგად დაეწვა საცხოვრებელი სახლი მისთვის დახმარება დღემდე არავის აღმოუჩენია.

საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 250000 ლარის შემოსვლას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მხოლოდ მიესალმება, მაგრამ მისი ასახვა მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან შემცირების ხარჯზე არ უნდა მოხდეს. იგი ბიუჯეტში ამ ცვლილებას მხარს ვერ დაუჭერს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**, აღნიშნა, რომ წინა საკრებულოს სხდომაზე სწორედ ბიუჯეტში ცვლილების ამ მუხლის გამო პროტესტის ნიშნად დატოვა დეპუტატებმა საკრებულოს დარბაზი და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ გაბედა და იგივე საკითხი სხვა ფორმით შემოიტანა. მისი თქმით, თუ ფინანსთა სამინისტრო ზრუნავს, რომ მუნიციპალიტეტები ფინანსურად წელგამართული იყოს, უპრიანი იქნებოდა წაეკითხათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2015 წლის 21 დეკემბრის სხდომის ოქმი(რომელიც ელექტრონულად საიტზე იტვირთება), რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭიროს, რადგან მუნიციპალიტეტის 2104-2015 წლების ბიუჯეტების არშესრულების ტრადიციულად ჩამოყალიბებული ტენდენცია საფუძვლიან ეჭვს იძლევა, რომ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი ხელოვნურად გაზრდილი მისი საშემოსავლო ნაწილი ვერ შესრულდება.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ სხდომათა დარბაზი დატოვა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** მაღლობა გამოუცხადა ლანჩხუთის მაჟორიტარ დეპუტატს ნინო წილოსანს, რომელმაც აქტიური მუშაობა გაწია რათა ფინანსთა სამინისტროს მუნიციპალიტეტისთვის გამოეყო 250000 ლარი, რომელიც უნდა მიიმართოს მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ის თანამშრომელთა სახელფასო ვალდებულებების გასასტუმრებლად. მან იქვე დასძინა, რომ არის თუ არა შესაძლებელი აღნიშნული 250000 ლარის ასახვა განხორციელდეს ბიუჯეტში ისე, რომ არ მოხდეს მოსაკრებელის ბუნებრივის რესურსების გამოყენებისთვის მუხლის შეკვეცა.

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობის შემცირების ხარჯზე მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხის ასახვა ბიუჯეტში არ უნდა მოხდეს. ამისათვის ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს 250 000 ლარით და მიეცეს თავიანთი ვალდებულებები. მისი თქმით, ეს არის შედეგი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასწორად დაგეგმვის, რისი ტენდენციაც წლების განმავლობაში ხორციელდება და ამაზე პასუხი აუცილებლად ვინმემ უნდა აგოს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, იგი გარკვეულ ნაწილში ეთანხმება კოლეგების მიერ გამოთქმულ შენიშვნებს, მაგრამ მოცემულ სიტუაციაში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის არ

ასახვა ბიუჯეტში დაუშვებელია, რადგან მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ის თანამშრომლები ხელფასის გარეშე არ დარჩნენ.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ პრინციპულად წინააღმდეგი არავინ არის მთავრობის მიერ გამოყოფილი 250000 ლარის ბიუჯეტში ასახვის. ეს არ უნდა მოხდეს მოსაკრებელის ბუნებრივის რესურსების სარგებლობიდან მუხლის შეკვეცის ხარჯზე. თუ აღნიშნული საკითხი ამ ფორმულირებით დარჩება, პირადად ის მაინც დაუჭერს მხარს, რადგან მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ის თანამშრომლები უხელფასოდ დარჩებიან, რაც დაუშვებელია.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** დეპუტატებს თხოვნით მიმართა, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე მხარი დაეჭირათ წარმოდგენილი დოკუმენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარე, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დაგენილების პროექტს:

საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე **ჯუმბერ ბლაგიძე** კენჭისყრის დროს დარბაზში არ იმყოფებოდა.

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი 4 დეპუტატი (ალექსანდრე მახათაძე, გოგი მორჩილაძე, გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა).

მიღებულ იქნა დადგენილება N29 (23.12.2016 წელი).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო